შორეული შენგელია



ფიქრები
ლეო
ოიფერიოს

შორენა შენგელია

ფიქრები ლაპარაკზე

თბილისი, 2008
„ეროვნული მწერლობა“

საგამომცემლო საბჭო
ვაჟა ოთარაშვილი
ზურაბ თორია
ტარიელ ხარხელაური
დავით კახაბერი
გულო კობიაშვილი
ზაზა ქინქლაძე

გამოცემის რედაქტორი
ვაჟა ოთარაშვილი

რედაქტორი
მანანა გორგიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ ქიტუაშვილი

ბერძნულად თარგმნა
ვერიკო ქაროსანიძემ

ISBN 978-9941-0-0453-7

Γεννήθηκα και μεγάλωσα στο ομορφότερο μέρος της γης, στην Αμπχαζίας την οποία ορέγονται πολλά κοντινά κράτη επειδή έχει την ομορφότερη φύση, το καλύτερο κλίμα. Αυτός ο μικρός παράδεισος της Μαύρης Θάλασσας κανέναν και πολλούς δεν άφηνε αδιάφορους. Με αφορμή αυτές τις ορέξεις των πολλών μαζί με 250 χιλιάδες ανθρώπους έγινα κι εγώ θύμα του πολέμου. Ανάμεσά τους πολλοί Έλληνες.

Σ' εκείνα τα δύσκολα χρόνια φάνηκε ο δρόμος για την Ελλάδα. Πιστεύω πως ήταν σωστή η απόφαση του ερχομού μου και άλλαξε η ψυχολογική και οικονομική μου κατάσταση. Ευτυχώς στην Αθήνα βρέθηκα στην οικογένεια του Κωνσταντίνου Ηλιάσκου. Ηταν σαν δώρο Θεού. Εκεί έζησα τα πιο συνειδητοποιημένα δώδεκα χρόνια της ζωής μου. Βέβαια λίγο σε ασυνήθιστο ρόλο για μένα, όμως σε πολλή φιλική και γεμάτη αγάπη ατμόσφαιρα. Η επαφή με αυτή την οικογένεια με ηρέμησε, με καθησύχασε και άλλαξε προς το καλήτερο την οικονομική μου κατάσταση. Ολα αυτά μου διευκόλυναν τη ζωή.

Θα ήθελα να αφιερώσω τις αναμνήσεις μου με την όποια σκληρή πραγματικότητα στην οικογένεια Ηλιάσκου. Η ιδανική οικογένεια Ηλιάσκου θα μείνει πάντα στη μνήμη μου σημαντική και άσβεστη.

Επίσης, θα ήθελα να αφιερώσω στο Γεωργιανό Ινστιτούτο Αθηνών διότι σε ξένο κράτος εμοιάζε μικρό λιμανάκι από την πατρίδα μου τη Γεωργία.

Αποσπάσματα

Ετσι πήραμε το δρόμο του Γολγοθά – Μαρτύριο που με λέξεις δεν περιγράφεται.

Ηταν γνωστό πως ο δρόμος θα ήταν δύσκολος αλλά δεν φαντάστηκα το πόσο. Διακόπταμαι την διαδρομή κάθε τόσο γιατί πέφταμε στην λάσπη, και ήταν δύσκολο να σηκωθούμε κάθε φορά. Πόση αγωνία, πόσος φόβος! Καταστρεφόμουν και παρέσερνα και άλλους. Ήθελα να μη μου δίνουν σημασία γιατί έχασα την ελπίδα και το θάρρος πως θα τα κατάφερνα να συνεχίσω μαζί τους.

Ο άγνωστος οδηγός στάθηκε αληθινός ήρωας. Με υπομονή, λεβεντιά και στοργή φερόταν σ' αυτό το απελπισμένο, δυστυχισμένο και φορτωμένο με γέρους και παιδιά πλήθος. Σ' εκείνον τον δρόμο που ο κίνδυνος παραμόνευε στο λεπτό περάσαμε μια φοβερή περιπέτεια. Απο τις λακούβες το φορτηγό τρανταζόνταν υπερβολικά. Κάποια στιγμή από το υπερβολικό βάρος όλων μας άνοιξε η κουπαστή της καρότσας του φορτηγού και όλοι βρεθήκαμε στο έδαφος αποσβολωμένοι. Σταθήκαμε τυχεροί και ήταν θέλημα του Θεού γατί λίγο πριν είχαμε περάσει απο το ένα μεγάλο γκρεμό ο οποίος ήταν πάντα δίπλα μας σ' όλη τη διαδρομή και μόλις είχαμε βγει στο ίσιωμα.

Οι φόβος μου ήταν απερίγραπτος. Έκλεινα τα μάτια να μη βλέπω γύρω μου. Φοβόμουν, έτρεμα και έκλαιγα για τη μοίρα του παιδιού που πήρα μαζί μου. Μέσα μου αναρωτιόμουν μήπως αυτός ο δρόμος μας αποτελείωνε σιγά-σιγά. Δεν μπορούσα πια άλλο να περπατάω είχαν μελανιάσει τα χείλη μου καί ρίγος διαπερνούσε το κορμί μου. Η μικρή δεν θα με εγκατέλειπε. Έπεσα σε αγωνία.

Στο αεροδρόμιο του Σουχούμη οι σκηνές που αντίκρυσα ήταν φρικτές. Ανθροποι χωρίς ελπίδα που ο καθένας κουβαλούσε το σταυρό του. Πτόματα φαντάρων απο ανατιναγμένα αεροπλάνα διασπαρτα παντού. Χάος και πανικός κυριαρχούσε. Ομος η ζωή και το ένστικτο της αυτοσυτήρησης αποδέχτικαν πιο δυνατά. Η ευθύνη για τη ζωή της μικρής μου έδιναν απίστευτο κουράγιο και δύναμη να παλέψω με ολα τα κύματα. Δεν ήθελα να χαθούμε.

Σκεφτόμουν και ανησυχούσα μόνο για τη ζωή του παιδιού. Η Τέα φοβόταν καί έκλαιγε, όλα αυτά που έυλεπε ήταν μια φρίκη. Από την εξέλιξη των γεγονότων στο αεροδρόμιο το αεροπλάνο με τα παιδικά μάτια της φαινόταν σαν τέρας.

Από όλες τις μεριές ακούγονταν εκρήξεις βομβών και πυροβολισμοί. Άνω κάτω πλήθος, αναστατωμένοι άνθρωποι που από τρόμο τρέχανε μπρος-πίσω. Όπως λέμε «μπρος γκρεμός και πίσω ρέμα». Μέσα σ' αυτό το χάος είδα μια σκηνή που με σημάδεψε «Σ' ένα φέρετρο είχε γονατίσει ένας άντρας ο οποίος κλαίγοντας χάϊδευε τον νεκρό». Πόσο μόνος θα ένιωθε μέσα στη δυστυχία του! Η συγκεκριμένη εικόνα διέφερε κατά πολύ σε σχέση με τον κατατρεγμό των ανθρώπων.

Ακόμα καλά-καλά δεν είχε ενηλικιωθεί ο νεκρός που έδωσε τη ζωή του για την πατρίδα του. Πριν πεθάνει ο πατέρας του ήθελε και προσπάθησει να τον προστατεύσει με τη δική του ζωή αλλά δεν τα κατάφερε. Η σφαίρα είναι γρήγορη και τυφλή, τώρα καθόταν εκεί δίπλα στον νεκρό γιο του χωρίς να φοβάται ούτε σφαίρες, ούτε βόμβες, ούτε αεροπλάνα, παγωμένος.

Με τίποτα δεν ήθελε να γυρίσει σπίτι του χωρίς τον ..... Υπάρχουν στιγμές που ο θάνατος είναι πολυτιμότερος και απ' τη ζωή. Ίσως έτσι να ένιωθε ο χαροκαμένος πατέρας...

Ξαφνικά συνήλθα από τον σφοδρό βομβαρδισμό του αεροδρομίου. Αποδυναμωμένοι αποφασίσαμε να γυρίσουμε στα σπίτια μας.

Η φίλη μου η *Ζένο Ττσιντσάτζε* με πικρία και πόνο θυμάται τις μέρες που αναγκάστηκε να εγκαταλείψει το δικό της σπίτι και να εγκατασταθεί στο δικό μου κατεστραμμένο σπίτι. Εμείς είχαμε ήδη μετακινηθεί στο χωριό *'Τσουμπερι'*. Η οικογένεια της ήταν από τις δυνατές και είχε πολλούς φίλους και συγγενείς από το απέναντι στρατόπεδο των εχθρών (Αμπχάζους).

Οταν ήρθε η ώρα να εγκαταλείψουν και το δικό μου σπίτι κοίταξε πίσω της. Είδε μια κιθάρα κρεμασμένη στον τοίχο με κόκκινη κορδέλα, πόνεσε γιατί θυμήθηκε τη μικρή κάτοχό της την Τέα, που κάποτε έπαιζε χαρούμενη και ξέγνοιαστη. Σκέφτηκε για μια στιγμή να την πάρει μαζί της αλλά στάθηκε αδύνατο

επειδή μαζί της είχε τα δύο μικρά δικά της αγγελούδια, τα οποία έπρεπε πάση θυσία να γλιτώσει από την καταστροφή σώα και αβλαβή. Τελικά με τη βοήθεια του Θεού τα κατάφερε.

Ο Θεός μια ζωή μας δίνει και όλοι θέλουμε να την απολαύσουμε. Πόσο δύσκολο και λυπητερό είναι όταν σ' αυτή τη ζωή ανεξάρτητα από σένα μπαίνει και ανακατεύεται το βρώμικο παιχνίδι της βρώμικης πολιτικής με συνέπεια την ολοκληρωτική καταστροφή. Σου πέρνει το παρόν, μαυρίζει το μέλλον και σου σβήνει το παρελθόν.

Πατρίδα και ειρήνη είναι δύο πολύτιμα αγαθά για τον κάθε άνθρωπο. Εμείς οι κάτοικοι της Αμπχαζίας γίναμε θύματα αυτού του βρώμικου πολιτικού παιχνιδιού. Η ανάγκη για αυτά τα αγαθά είναι έντονη και μας ποναεί.

Τελικά ειρήνη είναι προδιαγραφή για την χαρά, την αγάπη, την ευτυχία. Προδιαγραφή των πάντων.

დასკვნა

ჩემი ცხოვრება ისე წარმართა უზენაესმა, რომ პასუხისმგებლობა ყველაზე და ყველაფერზე არასდროს მომკლებია, ცხოვრებამ მანახა ყველაფერი, შემახვედრა ყველას და ყველაფერს, უამრავი ცუდისა და კარგის ამ უსწრაფეს მონაცვლეობაში ისე გამომწვრთნა, რომ ყოველგვარი განსაკუთებული მღელვარების გარეშე ვახერხებდი ამ ცხოვრების მეტად დამღლელ კიბეზე სწრაფ ასვლა-ჩამოსვლას, ყოველგვარი გართულებების გარეშე, რადგან შეჩერება, ლოდინი და მოსვენება ჩემი ოჯახის საჭიროებიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო, მოქმედება, სწრაფი რეაგირება და ნაკლები ემოციები, მუდამ იმარჯვებდა ამა თუ იმ პრობლემების დაძლევაში და სწორედ ეს უდიდესი პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა, ყველაფრის წინაშე, სრულად არ მაძლევდა მოშვების, პასიურობის და საკუთარი სურვილების სასარგებლოდ მოქმედების საშუალებას. სწორედ ასეთი სიძნელეების ძლევის საჭიროებამ, მეგობრის სიყვარულმა, მოგზაურობის დიდმა სურვილმა, რომლის საშუალება უკანასკნელ წლებში ვერაფრით ვერ მექნებოდა, გამოიწვია ჩემი საზღვარგარეთ გამგზავრება. ნამდვილად კმაყოფილი ვარ ჩემი ამ გადაწყვეტილებით, მართალია ურთულესი ფსიქოლოგიური ბარიერების გადალახვის შემდეგ საკმაოდ კარგად შევეწყვე ცხოვრებას, გადავლახე ნაწილობრივ ენის ბარიერიც.

საზღვარგარეთ ყოფნამ ბევრი რამ შეცვალა ჩემში, უფრო მეტი თავისუფალი ფიქრის და აზროვნების საშუალება მომცა, რომელსაც სულ არ სჭირდება ჩარჩოში და ფორმაში ყოფნა, რომელსაც ჩემი ცხოვრება და აზრები გამუდმებით მოითხოვდა "თავისუფლება სულს მართლაც მოსწყურებია..."

თავისუფალი ფიქრი, მოქმედება, აზროვნება, შედარების საშუალება ჩემი საზღვარგარეთ ცხოვრების მონაპოვარია, მაგრამ მართალი უნდა ითქვას, დაუკმაყოფილებ-

ლობის და უცხოობის გრძნობაც მუდამ თან სდევს ჩვენს აქ ცხოვრებას კი არა, არამედ ყოფას, რაც ძალზე მტკივნეულია, მართალია ქართული აღზრდა და საკმაოდ ძვირფასი ერის შვილობა აბსოლუტურად მანთავისუფლებს კომპლექსისაგან, თითქოს მე მათზე დაბლა ვდგავარ, ან აქაურობისთვის უცხო რომ ვარ, მაგრამ ფაქტი ის არის, უცხო, მითუმეტეს ყოფილი საბჭოთა ადამიანი მეორე კატეგორიის ადამიანებად მიიჩნევა, ალბათ მათი ძირითადი საქმიანობის გამო, მაგრამ ჩვენს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ ქართველები, ძირითადად თავიანთი ინტელექტით და კაცთმოყვარეობის წყალობით ამ მეორეხარისხოვნობის აბრას არ ატარებენ, პირიქით, დიდი სიმპატიებით სარგებლობენ ჩვენი ერთგული, შრომისმოყვარე ლამაზი სულის ქალები.

არ ვიცი სანამ გავუძლებ მაინც ამ ჩემთვის არაჩვეულ პირობებში და მარტოობაში ყოფნას, მართალია ახალი ადამიანების სიყვარულს, პატივისცემას ვგრძნობ, მაგრამ იგი ჩემი არ არის, ჩემი ენის, ჩემი სიტყვის პასუხი მინდა, მწყურია ჩემებთან ყოფნა, მათთან ცხოვრება, ჩემიანების სიყვარული მენატრება და საერთოდ საქართველო მენატრება კაცთმოყვარე საქართველო, რომელიც მიყვარდა, რომელიც ეტყობა ბედნიერი არასდროს ყოფილა, მაგრამ ბედნიერად გამოიყურებოდა. სტუმართმოყვარე საქართველო მენატრება, რომელსაც ყველაზე ცოტა ჰქონდა და მაინც ბევრ სტუმარს ღებულობდა სიყვარულით სავსე საქართველო მენატრება...

* * *

როცა ჩემი მოგონებები ფურცელზე გადამაქვს, მე თვითონ ვგრძნობ, ძალიან კრიტიკული და გაღიზიანებული ვწერ, ხშირად ულმობლადაც ვაკრიტიკებ მთელი ომის მსვლელობას, რომელშიც ბევრი ისეთი რამეც ხდებოდა, რომლის დანახვაც ჩემში სინაზეს იწვევდა. ჩემს ხასიათში სრულებით არ არის ის, რომ სულ ვიღაც ვადანაშაულო, პირიქით, ყველაფერში გამართლებას ვეძებ, მაგრამ ამ უბედურების აღწერა, ასე მძაფრი კრიტიკის ქარ-ცეცხლში მინდა გავატარო, რომ უკეთ დავფიქრდეთ, განა არ ვიცი ვის უნდოდა ასეთი დაცემა, ამდენი სიკვდილი, გლოვა, განცდა, მაგრამ ადამიანები ვართ, ხელისუფალნიც ისეთივე ადამიანები არიან და ყველას უნდა ეშინოდეს ასეთი უბედურების გამოწვევა და თუ რაღაც შეცდომით ხდება, დროზე უნდა შევაჩეროთ ან უნდა განისაზღვროს მოსალოდელი საშინელება, ეს პასუხისმგებლობა კი ხელისუფლებამ უნდა იტვირთოს და ჩვენც, რომლებიც ვირჩევთ იმ ხელისუფლებას, საკმაოდ მწირი ნათქვამია — როგორებიც ვართ ისეთი ხელისუფალი გვყავს.

P.S.

ეს ჩემი ნაწერი გიჟის ნაწერს გავს ალბათ.

იმ გიჟის, რომელიც ხან ტირის და ხან იცინის, მეც ასე ვარ, თან მიყვარს ჩემი ხალხი, ვიცი მათი შესაძლებლობები და თანაც ბრაზით, დარდით ვკვდები. ნუთუ ამ უმეცრებას უნდა შეეწიროს ამდენი რამ მეთქი. მტკივა და იმიტომ ვიქეცი გიჟად და ყველაფერში ხანდისხან კი ამ ჩემს ნაამბობშიც გაორებული ვარ.

აფხაზეთში დაბრუნების პროგრამა

1. დასხდნენ მეცნიერები, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული მოღვაწეობით და ცოდნით მოიპოვეს უფლება. იმსჯელონ წარსულიდან დღემდე ჩვენი ურთიერთობების ხანგრძლივ პერიოდზე და განვლილ გზებზე, რომელიც ჩვენი ისტორიაცაა. კომუნისტურ პერიოდში, აფხაზის და ქართველის დაშორიშორების მცდელობის ანალიზის საფუძველზე დაიწყოს ურთიერთმიახლოების მცდელობა, არავითარი მტკიცებებით, მხოლოდ მაღალი იტელექტის მქონე მეცნიერების მიმოხილვითი მსჯელობით მოხდეს ურთიერთპატივისცემის აღდგენა.

2. მტრობისა და უახლესი წარსულის განსჯისაგან გვერდის ავლით, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანებმა, რომლებიც უნდა იყვნენ შესარიგებელი ერების რჩეულნი, საზოგადოებაში და აზროვნების სფეროში დამსახურების მქონე პროფესიონალები; (ისტორიკოსები, ფილოსოფოსები, ეკონომისტები და სხვა საჭირო პროფესიის მქონე სპეციალისტები), რომლებთაც აქვთ ინტელექტი, ცოდნა და გამოცდილება, თანამედროვე მიმდინარე პროცესების სწორად აღქმის და გაანალიზებისა, უნდა შეისწავლონ აფხაზეთში მიმდინარე პროცესები და წამოაყენონ აფხაზეთის მომავალი განვითარების პერსპექტიული წინადადებები, ასეთი ადამიანების მიერ დაწყებული დიალიგი ურთიერთპატივისცემას, ნდობას გამოიწვევს, მომავალ საქმიან ურთიერთობაზე გადასასვლელად.

3. აფხაზურ-ქართული კონფლიქტის დასარეგულირებლად ყველა რეზერვი უნდა ამოქმედდეს ზნეობრივად სუფთა წარმომადგენელთა მიერ, სწორად შესწავლილი მდგომარეობა უნდა ემსახურებოდეს იმ ტრადიციულ—იტერნაციონალური ურთიერთობების აღდგენას, რომელიც მთავარი ძალა იყო და განაპირობებდა, აფხაზეთში

მოსახლეობის ცხოვრების საკმაოდ მაღალ დონეს, ეკონომიურ სიძლიერეს და ურთიერთპატივისცემას. ნეიტრალური გაწონასწორებული ადამიანების მეთვალყურეობით უნდა წარიმართოს მთელი პროცესი შერიგებისა, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩვენი ტრადიციები, ზნე—ჩვეულებანი, ისეთი ხალხური გამოცდილება, როგორიცაა აფხაზეთში შერიგება, სტუმარ—მასპინძლობის პრინციპზე დამყარებული. გამოყენებულ უნდა იქნეს აგრეთვე აფხაზეთში ინტერნაციონალური თანაცხოვრების უდიდესი კულტურა და გამოცდილებები. მტრობის დათრგუნვა, შერიგების პროცესის სწორად წარმართვა, რომელიც საქმიან სფეროებს, აუცილებლობით გამოწვეულს, უკვე დაწყებული აქვთ აფხაზეთს გარეთ, უნდა დაიწყოს თითოეულ ჩვენგანში, ყველა ფენაში, ურთიერთსაჭიროება შექმნის ხიდს ერთმანეთთან დასაახლოვებელს, რაც შუღლს და მტრობას მეორეხარისხოვნად აქცევს.

4. მოეწყოს სემინარული ტიპის შეხვედრები აფხაზეთისა და ქართველთა წარმომადგენლობით აფხაზეთში მცხოვრებ სხვადასხვა ერების მონაწილეობით, რაც დაიწყება შესწავლა და გაცნობა დაზარალებული ოჯახებისა. მართალია ამ ომში დაზარალებული ყველანი ვართ, მაგრამ უნდა დაიწყოს საზოგადოების ეტაპობრივი შესწავლა და დახმარება ტრაგიზმის სიმძიმის გათვალისწინებით.

5. ომისაგან დაგრეული ნაგებობების, შეწყვეტილი მშენებლობების, ტრანსპორტის და სხვა სასიცოცხლო ობიექტების აღდგენის გეგმების განსახორციელად, საინტერესო სპონსორების, დაინტერესებული პირების გამონახვა, საქართველოს საზღვრებს გარეთ. აფხაზეთის კომპლექსურად ასაღორძინებლად და არა იმ ელემენტარული დახმარებებით, რომელიც ახალ მტრობას და სიძულვილს გამოიწვევს, რისი გამოცდილებაც დღემდე

საკმაოდ გვაქვს თითეულ ჩვენგანს. სწორი მოქმედებით, გამოინახოს გზები, კავშირ—ურთიერთობების და ქვეყნის მშენებლობის დასაწყებად.

6. 15 წლიანი შეფერხება, ჩამორჩენა, ცხოვრების საერთო განვითარებიდან, აფხაზეთის ტერიტორიაზე ქმნის უმძიმეს სურათს მომავალი თაობებისას – დაისახოს ახალი გეგმები, ახალგაზრდების დაჩქარებულად, თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებულ, განათლებულ თაობათა მოსამზადებლად, დაიწყოს სწავლება და მოწინავე გამოცდილებების დანერგვა. მოხდეს საჭირო კადრების მომზადებ გადამზადება.

7. აფხაზეთში ცხოვრების დასაწყებად საჭიროა გამოინახოს საშუალებები და მთელი ეს დაფინანსება მოხმარდეს მხოლოდ სასიცოცხლო ობიექტების აღსადგენ სამუშაოების ჩატარებას, რათა ხალხი ჩადგეს ქვეყნის სამსახურში. საერთო ინტერესები კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი წარსულში საუკეთესო ურთიერთობების აღსადგენად.

8. გაიბას სასიცოცხლო კავშირები სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ ლტოლვილთა შორის, რომლებშიც გაერთიანდება მრავალეროვანი აფხაზეთის მოსახლეობა და მშვიდობიანი დიალოგის აფხაზეთის მომხრეები, ყველა ესენი – ერთი ოცნებით ცხოვრობენ, აფხაზეთში დაბრუნება და ნორმალური სასიცოცხლო პირობების შექმნა. თანდათანობით შესწავლილ იქნენ დაზარალებული ოჯახები ყველა ეროვნებისა, რასაც მთავარი მნიშვნელობა ექნება დიალოგის წარსამართად, სიტუაციის და სინამდვილის სწორად შესაცნობად, გავაძლიეროთ ურთიერთობები აფხაზეთიდან ნებით თუ უნებლიედ წამოსულ ერებთან, დიალოგის მსურველებთან, ვინც საქართველოსთან წარსულს სათუთად უფრთხილდება, არავითარი შურისძიება და პასუხისმომთხოვნი ტონი.

9. სტუმარ-მასპინძლობის საუკეთესო ტრადიციების გამოყენებით მოეწყოს შეხვედრები და სტუმრობები ორი ნათესავი ერის წარმომადგენლებს შორის, ასევე ჩვენთვის ყველასთვის მახლობელი ბერძენი და სხვა კეთილგანწყობილი ერების წარმომადგენლობის მონაწილეობით. ყოველივე ეს განმუხტავს დაძაბულობას, სტუმრად მისული აფხაზის და ქართველის ოჯახში. სჯა-ბაასი წარიმართოს მხოლოდ და მხოლოდ ყველა ერის ტკივილის გათვალისწინებით, რადგან ჩვენ ყველანი პოლიტიკოსების ამბიციების და მათი არასწორად წარმართული პოლიტიკის მსხვერპლნი ვართ, რომლებმაც სამოთხე ჯოჯოხეთად გვიქციეს.

10. გავერთიანდეთ, დავირაზმოთ და ვეძებოთ გზები, აფხზეთში მიმოსვლის საშუალება ყველა ჩვენგანის დიდი სურვილი და ოცნებაა, ჩვენ აფხაზეთთან ყველაფერი გვაკავშირებს, ზღვაც, ჰაერიც და ხმელეთიც. მთავარია სურვილი და სიყვარული გვამოძრავებდეს.

2002 წ. ათენი
შორენა შენგელია
დიოსკურია

დაიბეჭდა გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“
სტამბაში მხატვრის ქ.№4
31-70-47
32-73-62

თბილისი
2008





შორენა შენგელია დაიბადა ქალაქ სოხუმში, 1955 წლის 4 აგვისტოს, დაამთავრა სოხუმის სუმცროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

მუშაობდა გულრიფშის სათაო პარკსაშრომში.

დღესდღეობით ცხოვრობს საბერძნეთში, ქალაქ ათენში.